



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 81

2011 წლის 29 ივნისი
ქალაქი ხაშური

სამგზავრო ტრანსპორტის მომსახურების გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ

2011 წლის 23 ივნისს (სატენდერო განცხადება SPA110016850) გამოცხადებული იყო გამარტივებული ელექტრონული ტენდერი „სამგზავრო ტრასპორტის (საჯარო სკოლებს შორის გამართულ შემეცნებით-გასართობ კონკურსში „მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო“ გამარჯვებული სკოლის მოსწავლეების ქალაქ სიღნაღში გადასაყვანად მარშუტით ქალაქი ხაშური-ქალაქი სიღნაღი-ქალაქი ხაშური (არანაკლებ 40 მგზავრი), „საზოგადოებრივი პროკურატურის ფარგლებში“ ანტინარკომანულ აქციასთან დაკავშირებით გამართულ კონკურსში გამარჯვებულ მონაწილეთა ქალაქ ბორჯომში გადასაყვანად მარშუტით ქალაქი ხაშური-ქალაქი ბორჯომი-ქალაქი ხაშური (არანაკლებ 20 მგზავრი), ანაკლიაში დისლოცირებულ საერთაშორისო პატრიოტულ ბანაკში მონაწილეთა ჩაყვანა-ჩამოყვანის სატრანსპორტო მომსახურების უზრუნველსაყოფად მარშუტით ქალაქი ხაშური-ანაკლია-ქალაქი ხაშური (არანაკლებ 20 მგზავრი) მომსახურების შესყიდვა“ რომელიც არ შედგა. ღონისძიება დანიშნულია 30 ივნისს და 1-2 ივლისს, მის ჩატარებამდე რჩება 3 დღე. ღონისძიებების უზრუნველყოფის მიზნით სამგზავრო ტრანსპორტის მომსახურების შესყიდვა დაუყოვნებლივ განსახორციელებელია.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 პრიმა მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

1. განხორციელდეს (საჯარო სკოლებს შორის გამართულ შემეცნებით-გასართობ კონკურსში „მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო“ გამარჯვებული სკოლის მოსწავლეების ქალაქ სიღნაღში გადასაყვანად მარშუტით ქალაქი ხაშური - ქალაქი სიღნაღი - ქალაქი ხაშური (არანაკლებ 40 მგზავრი), „საზოგადოებრივი პროკურატურის ფარგლებში“ ანტინარკომანულ აქციასთან დაკავშირებით გამართულ კონკურსში გამარჯვებულ მონაწილეთა ქალაქ ბორჯომში გადასაყვანად მარშუტით ქალაქი ხაშური - ქალაქი ბორჯომი - ქალაქი ხაშური (არანაკლებ 20 მგზავრი), ანაკლიაში დისლოცირებულ საერთაშორისო პატრიოტულ ბანაკში მონაწილეთა ჩაყვანა-ჩამოყვანის სატრანსპორტო მომსახურების უზრუნველსაყოფად მარშუტით ქალაქი ხაშური-ანაკლია-ქალაქი ხაშური (არანაკლებ 20 მგზავრი) სამგზავრო ტრანსპორტის მომსახურების გამარტივებული შესყიდვა.
2. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საჭირო ღონისძიება, რაც დაკავშირებულია ამ განკარგულების პირველი პუნქტის შესასრულებლად.
3. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (ქ. ხაშური, ტაბიძის ქ. N2), ხოლო შემდეგ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ხაშური, კოსტავას ქ. N15) ერთი თვის განმავლობაში.

საკრებულოს თავმჯდომარე



დავით ლომიძე